

დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

---

*საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება  
შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც  
დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების  
ღირებულების შესახებ*

**სს „თელასი“**

**ემისიის საბოლოო პროსპექტი**

წინამდებარე ემისიის პროსპექტის საფუძველზე სს „თელასი“ ახორციელებს 31 281 532 ცალი  
ჩვეულებრივი აქციის საჯარო შეთავაზებას

ქ. თბილისი, 2012წ.

სარჩევი

	განსაზღვრებები	3
1.	ზოგადი ინფორმაცია ემიტენტის შესახებ	4
2.	ემიტენტის აქციათა ემისიის ისტორია	4
3.	ემიტენტის საქმიანობის სახეობები	5
4.	ემიტენტის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები	5
5.	აქციონერები, რომლებიც ფლობენ ემიტენტის აქციათა მნიშვნელოვან წილს	5
6.	ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება	5
7.	ინფორმაცია ემიტენტის მართვის ორგანოებისა და მენეჯმენტის შესახებ	6
8.	ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები	8
9.	შეთავაზების შედეგად მიღებული შემოსავლების სავარაუდო გამოყენება	11
10.	გამოშვებული აქციების კლასი, რაოდენობა და ნომინალური ღირებულება	13
11.	გამოშვებულ აქციებზე საკუთრების უფლების შეძენა	13

**განსაზღვრებები:**

<b>დამოუკიდებელი რეგისტრატორი</b>	სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი“
<b>ეკონომიკის სამინისტრო</b>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
<b>ემიტენტი</b>	სს „თელასი“
<b>ენერგეტიკის სამინისტრო</b>	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
<b>ეროვნული ბანკი</b>	სსიპ საქართველოს ეროვნული ბანკი - საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.
<b>კომპანია</b>	სს „თელასი“
<b>სეწმევი</b>	საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

**1. ზოგადი ინფორმაცია ემიტენტის შესახებ**

საფირმო სახელწოდება	სააქციო საზოგადოება „თელასი“
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ვანის ქ., №3; ფაქტობრივი ადგილსამყოფელი: იგივე
დაფუძნება:	სს „თელასი“ წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ სააქციო საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებული იქნა დიდუბის რაიონული სასამართლოს მიერ 1995 წლის 14 მაისს რეგისტრაციის ნომრით: 2/7-1.

**2. ემიტენტის აქციათა ემისიის ისტორია**

1995 წელს „თელასი“ დაფუძნებული იქნა მუნიციპალური საწარმოს სტატუსით. ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის 06.05.1998წ. ბრძანებით N1-3/188 და დიდუბის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 21 მაისის დადგენილებით N2/5-86, მუნიციპალური საწარმო „თელასის“ ბაზაზე დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „თელასი“ და მას კაპიტალად განესაზღვრა 75,589,150 ლარი, რომელიც დაყოფილი იქნა 1 ლარის ნომინალური ღირებულების მქონე 75,589,150 აქციად. ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს 1998 წლის N 1-3/404 ბრძანებით, სს „თელასის“ კაპიტალში შეტანილი იქნა დამატებითი ქონება (ენერგეტიკული ობიექტები), რის შედეგადაც კომპანიის კაპიტალი გახდა 81,147,886 ლარი; შესაბამისად, კომპანიის კაპიტალი დაყოფილი იქნა 1 ლარის ნომინალური ღირებულების მქონე 81,147,886 აქციად. აღნიშნული ცვლილება რეგისტრირებული იქნა დიდუბის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით N2/4-5. აღნიშნული თარიღის შემდგომ, კომპანიას დამატებითი აქციები ან სხვა ფასიანი ქაღალდები არ გამოუშვია.

2000 წლის 11 ივლისიდან სს „თელასის“ აქციები დაშვებულია სავაჭროდ საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

### 3. ემიტენტის საქმიანობის სახეობები

- ✓ ელექტრული და სითბური ენერჯის წარმოება;
- ✓ ელექტრული და სითბური ქსელების მუშაუნარიანობის უზრუნველყოფა;
- ✓ ელექტრული და სითბური ენერჯის მიწოდება (გაყიდვა);
- ✓ ისეთ საინვესტიციო პროექტებში მონაწილეობა, რომლებიც მიზნად ისახავს აქტივების შესყიდვას საზღვარგარეთ და საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის, ელექტროენერგეტიკის სფეროში ქართული კომპანიების აქტივების (წილების) ან მათი მართვის უფლებების შესყიდვას;
- ✓ სხვა სახის საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ემიტენტი ახორციელებდა ყველა ზემოჩამოთვლილ საქმიანობას.

### 4. ემიტენტის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები

სს „თელასი“ არ ფლობს ფასიან ქაღალდებს.

### 5. აქციონერები, რომლებიც ფლობენ ემიტენტის აქციათა მნიშვნელოვან წილს

- ✓ საქართველოს სახელმწიფო, წარმოდგენილი ეკონომიკის სამინისტროს მიერ - 24.529% (19 904 783 ჩვეულებრივი აქცია); 2010 წლის 8 დეკემბრის №1127 პრეზიდენტის განკარგულებისა და 2010 წლის 10 დეკემბრის ეკონომიკის სამინისტროსა და ენერგეტიკის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სს „თელასი“-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციები მართვის უფლებით გადაეცა ენერგეტიკის სამინისტროს;
- ✓ “Silk Road Holdings B.V” – 75.0007% (60 861 452 ჩვეულებრივი აქცია); აღნიშნულ აქციათა საბოლოო მფლობელს წარმოადგენს ღსს „ინტერ რაო ეესი“.

### 6. ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება

- ✓ სს „თელასი“-ს ფასიანი ქაღალდების რეესტრს აწარმოებს სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“ - ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი (ლიცენზიის N 70-0006, გაცემული 2000 წლის 26 იანვარს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ). ფასიანი ქაღალდების

რეესტრის წარმოება ხდება 2010 წლის 1 მარტს დადებული ხელშეკრულების N სრ-228 საფუძველზე.

დამოუკიდებელი რეგისტრატორის მისამართია: საქართველო, 0162 თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი N 74ა (მოსემვილის ქ. 11)

ტელ: (995 322) 22-53-51, 25-15-60

ფაქსი: (88322) 25-15-60

დირექტორი: ვახტანგ აროშიძე

მთავარი სპეციალისტი: ნინო ღვინიაძე; ელ-ფოსტა: [ngvinianidze@usr.ge](mailto:ngvinianidze@usr.ge);

მობ: 5 77 477 699

## 7. ინფორმაცია ემიტენტის მართვის ორგანოებისა და მენეჯმენტის შესახებ

ემიტენტის მართვის ორგანოებია:

- ✓ აქციონერთა საერთო კრება
- ✓ სამეთვალყურეო საბჭო
- ✓ გენერალური დირექტორი
- ✓ აღმასრულებელი დირექცია

<p>აქციონერთა საერთო კრება:</p>	<p>აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვს საზოგადოების ყველა აქციონერს</p>
<p>სამეთვალყურეო საბჭო:</p>	<p>2012 წლის 15 იანვრის მდგომარეობით სს „თელასი“-ს სამეთვალყურეო საბჭო შედგება შემდეგი ექვსი (6) წევრისაგან:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ანტონ ბადენკოვი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;</li> <li>2. თემურ ჭინჭარაული - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;</li> <li>3. ვადიმ მიტუმინი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;</li> <li>4. პაველ ოკლეი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;</li> <li>5. დმიტრი პალუნინი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;</li> <li>6. ირინა მილორავა - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.</li> </ol>

ემიტენტის აღმასრულებელი დირექციის შემადგენლობა:

<p><b>აშოტ მანუკიანი - გენერალური დირექტორი</b>  დაბადების წელი:1968  მოქალაქეობა: სომხეთი  სამუშაო ადგილი: სააქციო საზოგადოება „თელასი“  განათლება:უმაღლესი, ერევნის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი  თანამდებობა: გენერალური დირექტორი  პირველად დამტკიცდა აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობაზე:-27.03.2012წელს.  წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში,% -0  სს“თელასი“-ს აქციათა რაოდენობა საკუთრებაში, ცალი -0</p>
<p><b>მამუკა ქობალია - ტექნიკური დირექტორი</b>  დაბადების წელი:1963  მოქალაქეობა: საქართველო  სამუშაო ადგილი: სააქციო საზოგადოება „თელასი“  განათლება:უმაღლესი,საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი  თანამდებობა: ტექნიკური დირექტორი  პირველად დამტკიცდა აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობაზე:-17.11.2006 წელს.  წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში,% -0  სს“თელასი“-ს აქციათა რაოდენობა საკუთრებაში, ცალი -0</p>
<p><b>ედუარდ ოგანესიანი - ფინანსური დირექტორი</b>  დაბადების წელი:1974  მოქალაქეობა: საქართველო  სამუშაო ადგილი: სააქციო საზოგადოება „თელასი“  განათლება:უმაღლესი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  თანამდებობა: ფინანსური დირექტორი  პირველად დამტკიცდა აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობაზე:-10.09.2007 წელს.  წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში,% -0  სს“თელასი“-ს აქციათა რაოდენობა საკუთრებაში, ცალი -0</p>
<p><b>დავით ქართველიშვილი - კომერციული დირექტორი</b>  დაბადების წელი:1973  მოქალაქეობა: საქართველო  სამუშაო ადგილი: სააქციო საზოგადოება „თელასი“  განათლება:უმაღლესი,საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი  თანამდებობა: კომერციული დირექტორი  პირველად დამტკიცდა აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობაზე:-01.11.2006 წელს.  წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში,% -0  სს“თელასი“-ს აქციათა რაოდენობა საკუთრებაში, ცალი -0</p>
<p><b>ვლადიმერ ძნელაძე - ლოგისტიკის დირექტორი</b>  დაბადების წელი:1970  მოქალაქეობა: საქართველო  სამუშაო ადგილი: სააქციო საზოგადოება „თელასი“  განათლება:თბილისის დამოუკიდებელი ინსტიტუტი „ეგრისი“  თანამდებობა: ლოგისტიკის დირექტორი  პირველად დამტკიცდა აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობაზე:-03.01.2007 წელს.  წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში,% -0  სს“თელასი“-ს აქციათა რაოდენობა საკუთრებაში, ცალი -0</p>

<p><b>სოსო კაკულია - კორპორაციული დირექტორი</b>  დაბადების წელი:1950  მოქალაქეობა: საქართველო  სამუშაო ადგილი: სააქციო საზოგადოება „თელასი“  განათლება:უმადლესი, მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტი  თანამდებობა: კორპორაციული დირექტორი  პირველად დამტკიცდა აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობაზე:- 04.03.2009 წელს.  წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში,% -0  სს“თელასი“-ს აქციათა რაოდენობა საკუთრებაში, ცალი -0</p>
<p><b>ვლადიმერ შატროვი - უშიშროების დირექტორი</b>  დაბადების წელი:1953  მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია  სამუშაო ადგილი: სააქციო საზოგადოება „თელასი“  განათლება:უმადლესი,კასპიის ს.მ.კიროვის სახ.საზღვაო სასწავლებელი  თანამდებობა: უშიშროების დირექტორი  პირველად დამტკიცდა აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობაზე:-17.05.2007 წელს.  წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში,% -0  სს“თელასი“-ს აქციათა რაოდენობა საკუთრებაში, ცალი -0</p>

აქციათა დაგეგმილ ემისიასთან დაკავშირებით, ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, გენერალურ დირექტორს და აღმასრულებელი დირექციის წევრებს არ წარმოეშობათ ინტერესთა კონფლიქტი.

## 8. ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები

### ფინანსური რისკის მართვა

კომპანია განიხილავს თავის რისკებს როგორც ფინანსური (საკრედიტო, საბაზრო, გეოგრაფიული, სავალუტო, ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთის რისკები), ასევე საოპერაციო და იურიდიული რისკების კონტექსტში. კომპანიისთვის ფინანსური რისკების მართვაში ყველაზე მნიშვნელოვანია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ რისკების შენარჩუნების უზრუნველყოფა მოცემულ საზღვრებში. კომპანია განაგრძობს თავისი ფუნქციების განვითარებას საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვაში. კომპანიის მიერ დღეისთვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიღებული ზომები, მათ შორის მშობელი კომპანიის ზედამხედველობა, მიზნად ისახავს შიდა წესებისა და პროცედურების შესაბამისი ფუნქციონირების უზრუნველყოფას საოპერაციო და იურიდიული რისკების მინიმუმამდე დასაყვანად როგორც ამჟამად, ისე მომავალში.



## საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რაც გულისხმობს იმას, რომ მხარე ვერ შეძლებს დროულად და სრული მოცულობით გადახდას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად აყენებს კომპანიას საკრედიტო რისკის ქვეშ, ძირითადად, შედგება სავაჭრო დებიტორული დავალიანების, რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების, წინასწარი გადახდების და სხვა დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისგან. კომპანიას თბილისში მომსახურების გაწევის სფეროში მონოპოლისტური მდგომარეობა გააჩნია, ამიტომ, მისი შესაძლებლობა აარჩიოს სასურველი მომხმარებლები შეზღუდულია. კომპანია საკრედიტო რისკის მართვას ახორციელებს იმ მომხმარებელთა ქსელიდან დროული გათიშვით, რომლებიც არ იხდიან ელექტროენერჯის დავალიანებას, მაგრამ კომპანიის მომხმარებელთა რაოდენობის და მათი გეოგრაფიული განაწილების გათვალისწინებით, შესაძლებელია იმის დაშვება, რომ ყველა არგადამხდელი მომხმარებელი არ იქნება დროულად გათიშული. ამასთან, არსებობს გათიშულ მომხმარებელთა არასანქცირებული ჩართვის რისკი. ხელმძღვანელობამ შეიმუშავა კონსერვაციული რეზერვების პოლიტიკა, რომელიც ნებისმიერი პრობლემური მომხმარებლის დროული იდენტიფიცირებისა და ადეკვატური უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა. დებიტორული დავალიანების, რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების, წინასწარი გადახდებისა და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, მთლიანად ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების ამოღებაზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ ემუქრება გადაუხდელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი, რომელიც გადააჭარბებს დადგენილ რეზერვებს.

კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, რადგან სამომხმარებლო პორტფელი დივერსიფიცირებულია საყოფაცხოვრებო და კომერციული სექტორების დიდი რაოდენობის მომხმარებლებს შორის. ფულადი სახსრების ჭარბი ნაშთი განთავსებულია ფინანსურ ინსტიტუტებში, რომლებსაც დეპონირების თარიღისთვის ჰქონდათ დეფოლტის მინიმალური რისკი.

## საბაზრო რისკი

სეწმეკის 2010 წლის 21 ივნისის №7 დადგენილებით ელექტროენერჯის წარმოებაზე, განაწილებასა და მოხმარებაზე დადგენილია ზღვრული ტარიფები, რაც ნიშნავს, რომ ელექტროენერჯის შესყიდვა ხორციელდება კონკურენციის პირობებში. გარკვეულწილად კონკურენცია არსებობს ელექტროენერჯის განაწილების სფეროშიც, რადგან

ელექტროენერჯის განაწილების არეალი აღარ შემოიფარგლება ადმინისტრაციული საზღვრებით და ნებისმიერ ლიცენზირებულ კომპანიას თეორიულად შეუძლია ქ. თბილისის ტერიტორიაზე აწარმოოს ელექტროენერჯის განაწილება და მომხმარებელს შესთავაზოს დადგენილ ზედა ზღვარზე დაბალი ტარიფი. ზემოაღნიშნული გარემოებები კომპანიისთვის ქმნის საბაზრო რისკს. გარდა ამისა, კომპანიას გააჩნია ღია პოზიცია პროცენტული განაკვეთის და სავალუტო პოზიციის მიმართ, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზრის ზოგადი და სპეციფიური ცვლილებები.

### **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. კერძოდ აშშ დოლარის კურსის ცვლილება ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში ცვლის დედა კომპანიის მიმართ სს „თელასი“-ს ვალს.

ძირითადი უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება მოქმედებს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებული ბაზრის არარსებობის გამო, ხელმძღვანელობა არ ახორციელებს სავალუტო რისკის ჰეჯირებას.

### **ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას ადეკვატური საკრედიტო თანხების საშუალებით. კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები გადასახდელია ან მისაღებია დაკავშირებული მხარეებისგან. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს ანიჭებს კომპანიას საკმარის მოქნილობას დაფარვის ვადებთან მიმართებით, რაც აუცილებელია ბიზნესში ადეკვატური ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად მომოვალშიც, ამიტომ არ ინარჩუნებს ჭარბ ფულად ნაშთს.

### **პროცენტულ განაკვეთთან დაკავშირებული რისკი**

პროცენტულ განაკვეთთან დაკავშირებული რისკი გამოიხატება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე საპროცენტო განაკვეთების მოძრაობის უარყოფით ზეგავლენაში, რაც აისახება მოზიდულ ფინანსურ საშუალებებზე დარიცხული პროცენტების ზრდით ან გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან მიღებული მოგების შემცირებით. 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია მოზიდულ დაფინანსებასთან დაკავშირებით ექვემდებარება პროცენტულ განაკვეთთან დაკავშირებულ რისკს, რადგან ევროპის

რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სესხი წარმოადგენს მცოცავი პროცენტის მქონე სესხს. პროცენტი იანგარიშება: 3.50% დან 5.00% წელიწადში, რომელიც ყოველწლიურად დაკორექტირდება წელიწადში ორჯერ - 4 მაისსა და 4 ნოემბრამდე ლონდონის 2 საბანკო დღით ადრე მსესხებლის და გარანტორის აუდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან შემდეგი მაჩვენებლების თანაფარდობით - ფინანსური ვალდებულები შეფარდებული მოგებაზე (გადასახადებამდე, ამორტიზაციამდე და ცვეთამდე), მოცემული ცხრილის შესაბამისად:

ფინანსური ვალდებულების ფარდობა მოგებასთან გადასახადამდე, ამორტიზაციამდე და ცვეთამდე	მსესხებელი			
	გარანტორი	<2.5	<3.00	<3.50
<3.00		3.50	3.80	4.10
<3.50		3.80	4.00	4.30
<4.00		4.10	4.40	4.60
<4.50		4.50	4.80	5.00

დეპოზიტებსა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთებზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული შემოსავლები უმნიშვნელოა.

**9. შეთავაზების შედეგად მიღებული შემოსავლების სავარაუდო გამოყენება**

სს „თელასი“ განახორციელებს 31 281 532 (ოცდათერთმეტი მილიონ ორას ოთხმოცდაერთი ათას ხუთას ოცდათორმეტი) ცალი ჩვეულებრივი დამატებითი აქციების ემისიას და ახლადემიტირებული აქციები გადაეცემა საქართველოს სახელმწიფოს, „სილქ როუდ ჰოლდინგს ბი.ვი“-სა და მინორიტარ აქციონერებს აქციების გამოშვების დღისათვის მათ საკუთრებაში არსებული აქციების (წილის) პროპორციულად, კერძოდ:

- ✓ 23 461 356 ცალი ჩვეულებრივი აქცია (ახლადემიტირებული აქციების 75.001%) შესყიდული იქნება „სილქ როუდ ჰოლდინგს ბი.ვი“-ს მიერ. აქციების ღირებულების გადახდა განხორციელდება „სილქ როუდ ჰოლდინგს ბი.ვი“-ს და სს „თელასს“ შორის 2000 წლის 2 ივნისს დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების სს „თელასის“ კაპიტალში შეტანის გზით იმ პირობით, რომ

აღნიშნული მოთხოვნის უფლება გაქარწყლდება სრულად. მოთხოვნის უფლების კაპიტალში შეტანა განხორციელდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით, რაც აუდიტორული ფირმა Ernst & Young-ის 2011 წლის 14 დეკემბრის აუდიტორული დასკვნის თანახმად შეადგენს 44 133 198 ლარს. ამასთან, ძირითად აქციონერებს - საქართველოს სახელმწიფოსა და „სილქ როუდ ჰოლდინგს ბი.ვი.“-ს მფლობელობაში არსებული აქციების პროცენტული თანაფარდობის შენარჩუნების მიზნით „სილქ როუდ ჰოლდინგს ბი.ვი.“-ს მიერ აქციების ნომინალურ ღირებულებასა და მისი მოთხოვნის უფლების სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა, რაც შეადგენს 20 671 842 ლარს, მიჩნეული იქნება გადახდილად „სილქ როუდ ჰოლდინგს ბი.ვი.“-ს მიერ სს „თელასისათვის“ აქციებზე პრემიის (საემისიო შემოსავალი) სახით სს „თელასი“-ს იმ ახლადემიტირებული აქციებისათვის, რომლებიც საკუთრებაში გადაეცემა „სილქ როუდ ჰოლდინგს ბი.ვი.“-ს. მოთხოვნის უფლების დათმობის ტრანზაქციის შედეგად მოთხოვნის უფლება შეწყდება სრულად, რაც საშუალებას მისცემს სს „თელასს“ თავიდან აიცილოს აშშ დოლარის ფლუქტუაციის შედეგად მოსალოდნელი სავალუტო რისკები და მოხდება ფინანსური პოზიციის ანგარიშის გაჯანსაღება. სს „თელასის“ „სილქ როუდ ჰოლდინგს ბი.ვი.“-ს მიმართ არსებული ვალდებულებების კაპიტალში გადატანით გაჯანსაღდება ფინანსური პოზიციის უწყისი, რაც უფრო მიმზიდველს გახდის საზოგადოებას ინვესტორებისთვის.

- ✓ 7 673 054 ცალი ჩვეულებრივი აქცია (ახლადემიტირებული აქციების 24.529%) შესყიდული იქნება საქართველოს სახელმწიფოს მიერ. ღირებულების გადახდა განხორციელდება შპს „მტკვარი ენერჯეტიკას“ მიმართ „ინსტიტუციონალურ ვალების“ (რომელთა ნუსხაც და მოცულობაც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის განკარგულებით N2536 „2010 წლის 1 ოქტომბრის მემორანდუმთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“) მოთხოვნის უფლების სს „თელასი“-ს კაპიტალში შეტანის გზით, იმ პირობით, რომ საქართველოს მთავრობის „ინსტიტუციონალური ვალების“ მოთხოვნის უფლება შპს „მტკვარი ენერჯეტიკას“ მიმართ გაქარწყლდება სრულად. სს „თელასისათვის“ „ინსტიტუციონალური ვალების“ თაობაზე მოთხოვნის უფლების გადაცემა უნდა განხორციელდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით, რაც აუდიტორული ფირმა Ernst & Young-ის 2011 წლის 19 დეკემბრის აუდიტორული დასკვნის თანახმად შეადგენს 7 673 054 ლარს.
- ✓ 147 122 ცალი ჩვეულებრივი აქციის (ახლადემიტირებული აქციების 0.4703%) შეძენის უფლება გარკვეული ვადის განმავლობაში მიეცემათ სს „თელასის“ მინორიტარ აქციონერებს მათ საკუთრებაში არსებული წილების პროპორციულად. ვადის ამოწურვის შემდეგ „სილქ როუდ ჰოლდინგს ბი.ვი.“-ს აქვს უფლება სრულად შეიძინოს მინორიტარების მიერ გამოუსყიდველი აქციების რაოდენობა. აღნიშნული

აქციების განთავსების შედეგად მიღებულ შემოსავლებს სს „თელასი“ გამოიყენებს საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

## 10. გამოშვებული აქციების კლასი, რაოდენობა და ნომინალური ღირებულება

სს „თელასი“ უშვებს 31 281 532 ჩვეულებრივი კლასის აქციას, რომელთა განთავსებაც მოხდება „ემიტენტის“ არსებულ აქციონერებზე; შესაბამისად, შეთავაზება არ ხდება ფასიანი ქაღალდების მფლობელთა სახელით. წინამდებარე ემისიის პროსპექტის საფუძველზე გამოშვებული თითოეული აქციის პირველადი ფასი (ნომინალური ღირებულება), რომელზე ნაკლები ღირებულებითაც დაუშვებელია აქციების განთავსება, არის 1 ლარი.

## 11. გამოშვებულ აქციებზე საკუთრების უფლების შექენა

ემიტენტის მიერ აქციათა ყოველი ემისიისას, ახლადგამოშვებულ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება აქვს სს „თელასი“-ს აქციონერებს. ემიტენტის მიერ წინამდებარე ემისიის პროსპექტის საფუძველზე გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულებით უპირატესი შესყიდვის უფლება აქვთ საზოგადოების აქციონერებს, ემისიის პროსპექტის დამტკიცების მომენტისათვის მათ საკუთრებაში არსებულ აქციათა რაოდენობის პროპორციულად.

საბოლოო ემისიის პროსპექტით საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების გაყიდვა დაიწყება აღნიშნული ემისიის პროსპექტის გამოქვეყნებისთანავე. ემისიის პროსპექტი გამოქვეყნდება შემდეგი წესით: საბოლოო ემისიის პროსპექტი განთავსდება სს „თელასი“-ს ვებ-გვერდზე ([www.telasi.ge](http://www.telasi.ge)) ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცების შემდეგ.

ემისიის პროსპექტის გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში პრესაში განთავსებული იქნება განცხადება, რომელშიც აღნიშნული იქნება: ემისიის პროსპექტის დამტკიცების შესახებ, ემიტირებული აქციების საერთო რაოდენობა და პირობები, საზოგადოების აქციონერთა მიერ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლებით სარგებლობის საბოლოო ვადა და პირობები, რეკვიზიტები, რომელზეც უნდა მოხდეს აქციონერთა მიერ აქციათა ღირებულების გადახდა და ასევე ინფორმაცია, თუ სად შეიძლება ემისიის პროსპექტის გაცნობა.

“სილქ როუდ ჰოლდინგს ბი.ვი.”-ს და საქართველოს სახელმწიფოს ახლადემიტირებული აქციების შესაბამისი ოდენობა გადაეცემათ სს “თელასი“-სთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების გზით, რაც შესაძლებელია განხორციელდეს აქციათა ემისიის საბოლოო პროსპექტის გამოქვეყნებისთანავე ან შემდეგ.

მინორიტარ აქციონერთა მიერ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზებისათვის დაწესებული ვადა შეადგენს აქციონერთა საერთო კრების მიერ კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან 60 (სამოცი) კალენდარულ დღეს. აღნიშნული ვადის განმავლობაში მინორიტარი აქციონერი აქციათა შესყიდვის შესახებ განცხადებით მიმართავს სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ოდენობის აქციების გადაცემის რეგისტრაციას ამგვარ აქციონერზე საქართველოს კანონმდებლობით დადაგენილი წესით.

მინორიტარი აქციონერ(ებ)ის მიერ შესაბამისი განაცხადის წარუდგენლობის და საზოგადოების კაპიტალში დამატებითი შენატანის განუხორციელებლობის შემთხვევაში, ითვლება, რომ ასეთმა აქციონერ(ებ)მა უარი განაცხადა ემიტირებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლებაზე. აქციონერთა საერთო კრების მიერ კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში მინორიტარ აქციონერებისათვის განკუთვნილი განუთავსებელი აქციები, ნომინალური ღირებულებით შესაძლებელია გადაეცეს „სილქ როუდ ჰოლდინგს ბი.ვი.“-ს, საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

მინორიტარი აქციონერების მიერ აქციათა შესყიდვაზე განაცხადის წარდგენის ვადის ამოწურვიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში, სს „თელასი“ აჯამებს მინორიტარი აქციონერების მიერ შესყიდულ ახლადემიტირებულ აქციებს და ატყობინებს „სილქ როუდ ჰოლდინგს ბი.ვი.“-ს ფოსტის, კურიერის, ელ.ფოსტის ან ფაქსის მეშვეობით იმ აქციების ოდენობის შესახებ, რომელთა შესყიდვის სურვილიც არ გამოუთქვამთ უფლებამოსილ აქციონერებს და შესაბამისად რომელთა შესყიდვის უფლებაც ექნება „სილქ როუდ ჰოლდინგს ბი.ვი.“-ს შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.

თუკი ზემოაღნიშნული წესითა და ვადებში დარჩენილი აქციები სრულად არ იქნება განთავსებული, მაშინ განუთავსებელი აქციები გაუქმდება საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად და კომპანიის დირექტორატი უფლებამოსილია განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება და წარადგინოს ყველა საჭირო დოკუმენტი აღნიშნული ქმედების სათანადო წესით რეგისტრაციის მიზნით დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ წარმოებულ ფასიანი ქაღალდების რეესტრში.

ემიტენტის მიერ შეთავაზებულ საჯარო ფასიანი ქაღალდებზე გარიგებები დაიდება საფონდო ბირჟის გარეთ.

იმ შემთხვევებში, როდესაც ახლადემიტირებული აქციათა ღირებულების გადახდა ხორციელდება ფულადი სახით, აღნიშნული ფულადი სახსრები გადარიცხულ უნდა იქნას უნაღდო ანგარიშწორებით შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სს „თელასი“, ვითიბი ბანკი

ჯორჯია, ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: UGEBGE22, ა/ა GE83VT660000000508302 (ლარი).

ემიტენტი წარუდგენს ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელ რეგისტრატორს შესაბამის დოკუმენტაციას აქციათა მფლობელების შესახებ. საკუთრების უფლება საზოგადოების მიერ დამატებით გამოშვებულ აქციებზე წარმოიშობა მას შემდეგ, რაც სრულად იქნება გადახდილი შეძენილი აქციების და რეგისტრატორის მომსახურების ღირებულება, რომელიც დაკავშირებულია შეძენილი აქციების რეესტრში ასახვასთან.

წინამდებარე ემისიის პროსპექტს თან ერთვის:

1. სს „თელასი“-ს 2012 წლის 23 მარტის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილება;
2. აუდიტის მიერ დადასტურებული 2010 და 2011 წლების ფინანსური ანგარიშგებები.